წერილის ნომერი: **14-1423103313**
თარიღი: **13/04/2023**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო
მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №37

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ქალბატონ მედეა ვასაძეს

ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №37

ქალბატონო მედეა,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილული იქნა თქვენი, 2023 წლის 03 აპრილის №09-02-16/189 (მერიის კანცელარიის რეგ. №07-1423093515-14; 03.04.2023წ.) წერილი, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №49-ში არსებული 6,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.23.16.041) და ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №49-ში არსებული 56,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.23.16.042) ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით რეგისტრაციასთან და №05.23.16.041 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკარგვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებას.

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №49-ში არსებული 6,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.23.16.041) და ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №49-ში არსებული 56,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.23.16.042) საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა (რეგისტრაცია) განხორციელდა „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 მარტის №1225 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

რაც შეეხება უძრავი ქონებების პრივატიზებას განვმარტვთ, რომ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ელექტრონული აუქციონის გზით,

რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. შესაბამისად, ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) პრივატიზებისათვის უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 16 აგვისტოს №ბ14.14212286 ბრძანების საფუძველზე №05.23.16.041 და №05.23.16.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებული იქნა ელექტრონული აუქციონი. მასში №05.23.16.041 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე გამარჯვებულად გამოვლენი იქნა ფიზიკური პირი რამაზ მოსეშვილი, რომელზეც საკუთრების უფლება გადავიდა კანონმდებლობის სრული დაცვით შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

6010. ლუკა ასათიანის ქ.N25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. N25, Luka Asatiani str., ph: +995 (422) 27 26 26. Fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge